

ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელ სახელმწიფოთა მმართველების წარწერები მოგვითხრობს უძველესი ქართული პოლიტიკური გაერთიანებების, დიაოხისა და კოლხას შესახებ?

ა. ასურეთისა და ხეთების

ბ. ხეთებისა და სპარსეთის

გ. სპარსეთისა და ურარტუს

დ. ურარტუსა და ასურეთის

2. ვის მოსაზრებას ითვალისწინებდნენ კოლონიის დაარსებისას ძველი ბერძნები?

- ა. ბასილევსების ანუ სახალხო ტრიბუნების
- ბ. არქონტების ანუ კერპომსახურების
- გ. კონსულების ანუ უზენაესი მმართველების
- დ. ორაკულების ანუ წინასწარმეტყველების

3. უმთავრესად რამ განაპირობა პომპეუსის ლაშქრობა აღმოსავლეთში, რომლის დროსაც ის კავკასიაშიც შემოიჭრა?

- ა. ჰუნების შეჭრამ რომის აღმოსავლეთ პროვინციებში
- ბ. ქართლის მეფის მიერ წამოწყებულმა აჯანყებამ
- გ. სომხეთში დაკარგული გავლენის აღდგენის სურვილმა
- დ. პონტოს სამეფოსთან მიმდინარე ომმა

4. რომელი მსჯელობაა მართებული ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით?

- ა. ქრისტიანობის გამოცხადებასთან ერთად მოხდა ახალი სამეფო დინასტიის ლეგიტიმაცია
- ბ. გაქრისტიანებით დასრულდა ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება
- გ. ქრისტიანობის მიღებით დადასტურდა სამეფოს პრორომაული პოლიტიკური ორიენტაცია
- დ. ქრისტიანობის საყოველთაო გავრცელებით დამთავრდა ხანგრძლივი საეკლესიო განხეთქილება

5. რაზე მეტყველებს მარზპანის თანამდებობის შემოღება ქართლში VI საუკუნეში?

- ა. ქალაქებში პართელთა გარნიზონების ჩაყენებაზე
- ბ. სამეფო ხელისუფლების გაუქმებაზე
- გ. ადგილობრივი მმართველობის აღდგენაზე
- დ. მეფობის გადაცემის ახალი წესის შემოღებაზე

6. რამ განაპირობა, რომ დიოფიზიტებს ქალკედონიტებსაც უწოდებდნენ?

- ა. მონოფიზიტებისაგან დევნილი დიოფიზიტები ამ სახელწოდების მონასტერს აფარებდნენ თავს
- ბ. ეს სახელი უკავშირდება დიოფიზიტური მოძღვრების ფუძემდებელ სასულიერო პირს
- გ. ეს სახელწოდება უკავშირდება ქალაქს, სადაც ჩატარდა დიოფიზიტობის დამკანონებელი მსოფლიო საეკლესიო კრება
- დ. ასე ეწოდება ამ მიმდინარეობის მთავარი რელიგიური დოგმების კრებულს

7. რა გახდა ისლამში ორი მიმდინარეობის: შიიზმისა და სუნიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი?

- ა. ღმერთის იკონოგრაფიულად გამოსახვის წესი
- ბ. არამუსლიმებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება
- გ. ხალიფას მექაში დაკრძალვის რიტუალი
- დ. უმაღლესი ხელისუფლების გადაცემის საკითხი

8. რამ განაპირობა ბუღალტერის ლაშქრობა საქართველოში?

- ა. ხალიფასადმი თბილისის ამირას ურჩობამ
- ბ. ქართველთა მეფის მიერ მოწყობილმა აჯანყებამ
- გ. ჰუნების მიერ სამხრეთ კავკასიის მრავალგზის დალაშქვრამ
- დ. აფხაზთა მეფის ძალაუფლების გავრცელებამ აღმოსავლეთ საქართველოში

9. რომელი ქართული პოლიტიკური ერთეული მონაწილეობდა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს გაერთიანების პროცესში?

- ა. წანარეთის სამეფო
- ბ. ქართლის სამთავრო
- გ. აფხაზთა სამეფო
- დ. იმერეთის სამეფო

10. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ბიზანტიის იმპერიის დაშლა XIII საუკუნის დასაწყისში?

ა. არაბებთან ბრძოლაში განცდილმა მარცხმა

ბ. სელჩუკთა მიერ იმპერატორის დატყვევებამ

გ. ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ

დ. ქრისტიანულ ეკლესიაში მომხდარმა განხეთქილებამ

11. ვინ იყვნენ იანიჩარები?

- ა. ოსმალეთის იმპერიის მეომრები
- ბ. სელჩუკთა ლაშქრის შუბოსნები
- გ. შაჰის გვარდიის ჯარისკაცები
- დ. არაბი ცხენოსანი მოლაშქრეები

12. რას ისახავდნენ მიზნად 1396 წელს ბალკანეთში, ქალაქ ნიკოპოლთან საბრძოლველად გამზადებული ევროპელები?

- ა. კონსტანტინოპოლის გათავისუფლებას
- ბ. ევროპაში ოსმალთა წინსვლის შეჩერებას
- გ. ქალაქ ტრიპოლის დაბრუნებას
- დ. სელჩუკთაგან დამასკოს გათავისუფლებას

13. რას წარმოადგენდა ინდულგენცია?

- ა. სასჯელს ერეტიკოსთათვის
- ბ. ცოდვათა მისატევებელ სიგელს
- გ. საეკლესიო სასამართლოს
- დ. კარდინალთა კონკლავის ბრძანებულებას

14. რომელი მეფის მინისტრი იყო მერკანტილიზმის ეკონომიკური მოძღვრების ცნობილი წარმომადგენელი კოლბერი?

ა. ანრი IV-ის

ბ. ლუი XIV-ის

გ. ფრანსუა I-ის

დ. შარლ X-ის

15. ვის ეწოდებოდა „ვალი“ XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში?

- ა. შაჰის მიერ ქართლის მმართველად დანიშნულ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონს
- ბ. სულთნის მიერ გამოგზავნილ გადასახადების ამკრეფ მოხელეს
- გ. კახეთის სამეფო კარზე ოსმალეთის მუდმივ წარმომადგენელს
- დ. თბილისის ციხის გარნიზონის ყიზილბაშ მეთაურს

16. რა იყო არქანჯელო ლამბერტისა და კრისტოფორო კასტელის საქართველოში ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი?

- ა. ქართველი მეფე-მთავრების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩართვა
- ბ. ქართველ მეფე-მთავართა შორის ურთიერთბრძოლის შეწყვეტა
- გ. ქართველების დათანხმება ჯვაროსნულ ომში მონაწილეობაზე
- დ. ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება

17. რომელ ქალაქში გამოიცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?

ა. რომში

ბ. ნეაპოლში

გ. მილანში

დ. ვენეციაში

18. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთათვის ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებას?

- ა. დიდი ხნით აღიკვეთა ლეკთა მარბიელი თავდასხმები
- ბ. ოსმალები განიდევნენ სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილიდან
- გ. ბოლო მოეღო ყიზილბაშთა ბატონობას ქართლ-კახეთში
- დ. საგრძნობლად შეირყა თურქ-ოსმალთა ბატონობა იმერეთში

19. ვინ გამოაცხადა თავი საფრანგეთში დამფუძნებელ კრებად 1789 წლის ზაფხულში?

- ა. გენერალური შტატების წევრთა უმრავლესობამ
- ბ. ჟირონდისტების რადიკალურმა ფრთამ
- გ. იაკობინელთა კლუბის წევრებმა
- დ. დირექტორთა კოლეგიამ

20. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გაუადვილა საფრანგეთის წარმომადგენელ ტალეირანს, ვენის კონგრესზე დაეცვა საკუთარი ქვეყნის ინტერესები?

- ა. წინააღმდეგობებმა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის
- ბ. იმპერატორის დაბრუნებამ წმინდა ელენეს კუნძულიდან
- გ. კოალიციის დამარცხებამ ლაიფციგის ბრძოლაში
- დ. ევროპაში დაწყებულმა რევოლუციებმა

21. სად არ განვითარებულა რევოლუციური მოვლენები XIX საუკუნის 40-იან წლებში?

ა. ავსტრიაში

ბ. გერმანიაში

გ. რუსეთში

დ. საფრანგეთში

22. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო საქართველოს გამოსვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან. რა აშინებდათ მათ?

- ა. ფეოდალთა შორის არსებული შუღლი
- ბ. ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობა
- გ. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება
- დ. მოსალოდნელი საგარეო საფრთხეები

23. რაში გამოიხატა XIX საუკუნის 40-იან წლებში მმართველობის სისტემის რეფორმირება კავკასიაში?

- ა. მთავარმართებლის თანამდებობის აღდგენაში
- ბ. გენერალ-გუბერნატორის უფლებების გაზრდაში
- გ. მეფისნაცვლობის შემოღებაში
- დ. მთავარსარდლობის დაწესებაში

24. რა მიიჩნია რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ საშუალებად?

ა. იაპონიასთან ომის სასწრაფოდ შეწყვეტა

ბ. სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა

გ. ბატონყმობის გაუქმება

დ. სინოდის დათხოვნა

25. რომელი სახელმწიფო წარმართავდა ბრძოლას გერმანიის გაერთიანებისთვის XIX საუკუნეში?

ა. ბავარია

ბ. პრუსია

გ. საქსონია

დ. ჰანოვერი

26. რატომ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1919-1921 წლებში ერთპარტიული, სოციალ-დემოკრატიული?

ა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მთავრობას ერთპიროვნულად ნიშნავდა პრეზიდენტი, რომელიც სოციალ-დემოკრატი იყო

ბ. დამფუძნებელი კრების არჩევნებში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა

გ. კონსტიტუცია კრძალავდა კოალიციური მთავრობის შექმნას არასტაბილურობის გამორიცხვის მიზნით

დ. სხვა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს და დამფუძნებელ კრებაში მათ წარმომადგენლები არ ჰყავდათ

27. რომელი მსჯელობაა მართებული ერთა ლიგის მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

ა. ერთა ლიგამ შეასრულა თავისი უმთავრესი მისია, რადგან უფლებამოსილება მშვიდობიანად გადასცა ევროკავშირს

ბ. ერთა ლიგამ ვერ შეძლო თავისი უმთავრესი მისიის შესრულება, რადგან ვერ აიცილა თავიდან ახალი მსოფლიო ომი

გ. ერთა ლიგამ, მართალია, ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა სხვადასხვა ლოკალური ომები, თუმცა არ დაუშვა დიდი ომის დაწყება

დ. ერთა ლიგამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო რეალურად ფუნქციონირება, რადგან მასში არ გაერთიანდნენ ანტანტის წევრი სახელმწიფოები

28. რატომ ეწოდება II მსოფლიო ომის საწყის ეტაპს „უცნაური ომი“?

ა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიამ მანამდე სრულიად უცნობი სამხედრო ტაქტიკა გამოიყენა

ბ. ომის გამოცხადების მიუხედავად, საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე ბრძოლები ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა

გ. ბალკანეთის სახელმწიფოებმა გერმანელთათვის პარტიზანული ბრძოლის მანამდე უცნობი მეთოდი გამოიყენეს

დ. სკანდინავიის ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებისას გერმანიამ მხოლოდ საჰაერო-სადესანტო ძალები გამოიყენა

29. რომელი მსჯელობაა მართებული „ცივი ომის“ შესახებ?

ა. „ცივი ომი“ ეწოდა დაპირისპირებას ჩრდილოეთ ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებსა და სამხრეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებს შორის

ბ. „ცივი ომი“ გულისხმობდა განვითარებად ქვეყნებში სოციალისტურ და ფაშისტურ პარტიებს შორის მიმდინარე სამხედრო შეტაკებებს

გ. „ცივი ომი“ იყო წინააღმდეგობა სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებსა და დიდ კოლონიურ იმპერიებს შორის

დ. „ცივი ომი“ წარმოადგენდა დაპირისპირებას სოციალისტურ ბანაკსა და დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს შორის

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. დაალაგეთ ქრონოლოგიურად რომის სახელმწიფოში განვითარებული მოვლენები:

1. ტეტრარქიის შემოღება
2. I ტრიუმვირატის ჩამოყალიბება
3. პრინციპატის დამყარება

31. დაალაგეთ ქრონოლოგიურად XVII საუკუნის ინგლისის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. მეფის მიერ ლონდონის დატოვება და ჩრდილოეთში წასვლა
2. კრომველის მიერ ჰოლანდიის დამარცხება
3. „ხანგრძლივი პარლამენტის“ შეკრება

32. დააღაგეთ ქრონოლოგიურად XIX საუკუნის საქართველოში მომხდარი მოვლენები:

1. საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება თბილისში
2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა
3. რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმება

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. №33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო №34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 33.



ორივე ილუსტრაციაზე ასახულია მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის ორი ეპიზოდი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **33.1.** რომელი დედაქალაქისთვის მიმდინარე ბრძოლაა ასახული ილუსტრაციებზე?
- (1) **33.2.** რომელ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ბრძოლაა ასახული ილუსტრაციებზე?
- (1) **33.3.** რომელ ილუსტრაციაზეა ასახული ბრძოლის უფრო ადრეული ეტაპი? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ილუსტრაციებზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.
- (1) **33.4.** დაასახელეთ ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული მოვლენის მონაწილე გამარჯვებული მმართველი.
- (1) **33.5.** თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლის შედეგს საქართველოსთვის? მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

საქართველო **საქართველო**

10 მან. ხუთ შაგანი, ნოემბრის 25 1920 წ.

შთაგრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველო ოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან.
სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ.
საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ.
ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედა-
ქციის და კანტ მისამართი: ტფ., მზრონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **34.1.** რა ეწოდებოდა გაზეთს, რომლის პირველი გვერდის ფრაგმენტიც წარმოდგენილია ილუსტრაციაზე?
- (1) **34.2.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელ წელს დაარსებულა აღნიშნული გაზეთი?
- (1) **34.3.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ხელისუფლების რომელი შტოს პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა აღნიშნული გაზეთი?
- (1) **34.4.** აღნიშნული გაზეთის გამოცემა შეწყდა 1921 წელს. რა იყო ამის უმთავრესი მიზეზი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

35. ქართველები და ჯვაროსნული ლაშქრობა

XIII საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს მეფე გიორგი IV-მ რომის პაპისგან ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის წინადადება მიიღო. ამ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ თათბირზე ქართველ დიდებულთა ნაწილი ემხრობოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას, ნაწილი კი - არა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

36. წოდებრიობის საკითხის განხილვა დამფუძნებელ კრებაზე

1789 წლის აგვისტოში საფრანგეთის დამფუძნებელ კრებას უნდა განეხილა საკითხი წოდებრიობის გაუქმების შესახებ. დეპუტატთა ნაწილი მხარს უჭერდა წოდებრიობის გაუქმებას, ნაწილი კი - არა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც წოდებრიობის გაუქმების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც წოდებრიობის გაუქმების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.


ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **37.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ის ისტორიული მოვლენა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა რუკაზე ასახული ექსპედიციები?
- (2) **37.2.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა მწვანე ფერის ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი?
- (2) **37.3.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა წითელი ფერის ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი?
- (1) **37.4.** ვისი ხელმძღვანელობით შემდგარი ექსპედიცია განხორციელდა უფრო ადრე?
- (1) **37.5.** რა იყო წითელი ფერის ისრით აღნიშნული ექსპედიციის საბოლოო მიზანი?
- (1) **37.6.** რით იყო მნიშვნელოვანი მწვანე ფერის ისრებით აღნიშნული ექსპედიციის შედეგები?

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალეზა 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

„გარდაიცვალა მეფე გიორგი, შეიქმნა უზომო გლოვა და მწუხარება. განსაკუთრებულად იგლოვდა მისი და, რუსუდანი. გამეფდა თამარი დასაბამიდან ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაექვს წელს, ასული მეფეთ მეფისა გიორგისი, რომელიც იყო დიდი დავითის ძის, დემეტრეს ვაჟი.

თამარმა საჭიროდ მიიჩნია საეკლესიო კრების მოწვევა. პირველ რიგში წმიდა ქალაქიდან მოუწოდა ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელსაც თავმდაბლობის გამო უარი ჰქონდა ნათქვამი ქართლის კათოლიკოსობაზე. კრებაზე წინამძღვრობდა ზემოთ ნახსენები ნიკოლოზი და ანტონ ქუთათელი საღირისძე, დიდად განთქმული სათნოებითა, სიტყვითა და ძლიერი საქმითა. ნიკოლოზმა და

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ანტონმა არ ინებეს, რომ მათ შორის ყოფილიყო ქართლის მაშინდელი კათოლიკოსი, რადგან გადაუხვია მან ეკლესიის წესებს, მზაკვრობით მოიპოვა ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობართუხუცესობა. ვერ გადააყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ. ზოგიერთი ეპისკოპოსი შეიცვალა და მათ ნაცვლად საღმრთო კაცები დასხეს, ბევრი საეკლესიო წესიც აღადგინეს, უკეთურთა მიერ დარღვეული.

კრების დამთავრების შემდეგ შემოვიდნენ სამეფოს სპასალარნი და ერისთავნი და მოახსენეს მამებს, რომ საჭირო იყო ზრუნვა, რათა შეერჩიათ სიძე. გაგზავნეს კაცი რუსთა სამეფოში, როგორც ქრისტიან და მართლმადიდებელ ქვეყანაში. გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა წარგზავნილი და ჩამოიყვანა კაცი დიდგვაროვანი. არც გარეგნობით იყო დასაწყენი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

როდესაც იგი იხილეს, ყველას მოეწონა, რადგან არავინ იცნობდა მის ბუნებასა და ზნეს.

შეიკრიბნენ რუსუდან დედოფალთან პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი. აცნობეს თამარს, შესთავაზეს ქორწინება და თანაც აჩქარებდნენ. თამარ მეფის პასუხი ასეთი იყო: „როგორ შეიძლება ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა? ამ უცხო კაცის შესახებ არაფერი ვიცი. დრო მომეცით, სანამ გაირკვევა მისი სიკეთე ან სიმრუდე“. ისინი კი წინააღმდეგობას უწევდნენ. უშვილობას ახსენებდნენ, სპათა წინამძღოლს ითხოვდნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თამარის სურვილის გარეშე ქმნეს ქორწილი.

ახდა თამარის ნათქვამი, რუსმა გამოავლინა თავისი ბუნების უარყოფითი მხარე. ორნახევარი წლის

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მანძილზე ითმენდა თამარი რუსის უკეთურებას. თამარმა მრავალი რამ იღონა რუსის განსაკურნავად, მაგრამ ამან რუსს სარგებელი ვერ მოუტანა. რუსუდან დედოფალმა და მთავრებმა გააძევეს რუსი.

ოვსთა მეფეს ყავდა შვილი, რუსუდან დედოფლის გაზრდილი. ყველამ ერთხმად ინება მისი თამარისთვის შერთვა. თამარი, რომელიც იცნობდა ყრმობიდან, დაემორჩილა მათ სურვილს.

მცირე შფოთი მოაწყეს იმერელებმა და სვანებმა და მოიყვანეს რუსი კვლავ გასამეფებლად. სურდათ მესხთა მიმხრობაც, მაგრამ ვერ მოახერხეს. გააქციეს შერცხვენილი მეამბოხეები.

მოიყვანა გარეჯიდან ანტონ გლონისთავისძე, რომელიც ადრე ჭყონდიდელი იყო, მაგრამ მიქაელ კათოლიკოსმა მოსტაცა მას ეს პატივი. დასვა ისევ

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ვაზირად, მისცა ჭყონდიდი, სამთავისი და მწიგნობართუხუცესობა. უბოძა ზაქარიას - ამირსპასალარობა. მის უმცროს ძმას, ივანეს - მსახურთუხუცესობა. მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, მისცეს მანდატურთუხუცესობა.

გაზარდა ქვეყნის კეთილდღეობა ლაშქრის წარმატებებმა. შევიწროვდნენ სპარსელნი ყველგან. ამიტომ მოილაპარაკეს და ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ. გაიგო რა ეს თამარმა, იხმო ყველა ვაზირი და იწყო დავალებათა მიცემა. უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს, იჩქარეთ ბრძანებების გაცემა: რათა სწრაფად შეიკრიბოს მხედრობა და რათა ყველა ეკლესიასა და მონასტერში, განუწყვეტლივ ღამისთევანი და ლიტანიობანი ადასრულონ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ასე ბრძანა მან და ბრძანება საქმედ იქცა. ათი დღის მანძილზე, როგორც შევარდენტა გუნდი, ისე მოფრინდნენ ყოველი მხრიდან მხედარნი. შევიდნენ რა მათ მხარეში, იხილეს მტერი განძასა და შამქორს შორის დაბანაკებული. როგორც ვეფხვნი, ისე ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. პირველსავე შეტევისას მტრის ათჯერ აღმატებული რაზმი დაშალეს. მივიდნენ განძამდე, სადაც გამოეგებნენ ქალაქის მცხოვრებნი, ითხოვეს მშვიდობა და ქალაქის ნებით ჩაბარება.

მხოლოდ ალაფით არ ამდიდრებდა ქვეყანას თამარი, სარწმუნოებითაც ამტკიცებდა. ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა.

დიდად სახელგანთქმული ქალაქის, ტფილისის ერთი წლის შემოსავალი ვერ დაფარავდა იმავე წლის მანძილზე მახარობელთათვის გასაცემ თანხას.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

- (1) **38.1.** წყაროს მიხედვით, რა მიზეზებით აჩქარებდნენ დიდებულები თამარ მეფეს დაქორწინებას?
- (1) **38.2.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რატომ დათანხმდა თამარი ქორწინებას ოსთა მეფის შვილზე?
- (1) **38.3.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, კონკრეტულად სად განაგრძო მოღვაწეობა ანტონ გლონისთავისძემ, მას შემდეგ რაც დაკავებული თანამდებობები წაართვეს?
- (1) **38.4.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ თამარ მეფის დროს ქართველთა მხედრობა მრავალ გამარჯვებას აღწევდა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (1) **38.5.** რა სახელითაა ცნობილი ისტორიაში ბრძოლა, რომელზეც მემატთანე მოგვითხრობს?
- (1) **38.6.** წყაროს მიხედვით, რა გახდა ამ ბრძოლის მიზეზი?
- (1) **38.7.** მეფის გარდა, სამეფო ოჯახის რომელი წევრის გავლენა ჩანს წყაროში? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციით.
- (2) **38.8.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ყველა ის საკითხი, რომელიც განიხილა საეკლესიო კრებამ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (2) **38.9.** წყაროს მიხედვით, რატომ იყო თამარი სწრაფი დაქორწინების წინააღმდეგი, რას ითხოვდა ის და რა მიზნით?
- (2) **38.10.** თამარ მეფის პირველ ქმართან დაკავშირებულ რა დადებით მომენტებს ასახელებს მემატთანე?
- (2) **38.11.** წყაროს მიხედვით, რა ბრძანებების გაცემა დაავალა თამარ მეფემ ანტონ ჭყონდიდელს?
- (2) **38.12.** წყაროში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაასახელეთ მიქაელის წინამორბედი კათოლიკოსი და ქალაქი, სადაც მან გააგრძელა მოღვაწეობა გადადგომის შემდეგ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)